# CCIIR-ის წლიური ანგარიში 2023

www.cciir.ge
fb/cciir
info@cciir.ge

# ჩვენ შესახებ

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი - CCIIR არასამთავრობო (NGO) კვლევითი ორგანიზაციაა, რომელიც 2005 წელს დაარსდა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტებს განათლების მიმართულებით,შეისწავლის განათლების სისტემაში/სფეროში არსებულ პრობლემებსა და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განათლების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

ორგანიზაციის მისიაა ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს საქართველოში, მათში სახელმწიფო ენის განვითარებას, მათ სამოქალაქო განათლებასა და ჩართულობას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

CCIIR- ის საქმიანობა შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

➢ განათლების პოლიტიკის შესწავლა და ანალიზი -ამ მიზნით ორგანიზაცია ახორციელებს თვისებრივ კვლევებსა და უწყვეტ მონიტორინგს, უზრუნველყოფს დიალოგს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და პოლიტიკის შემქმნელებთან.

➢ მულტილინგვური/მულტიკულტურული განათლება - ორგანიზაცია უზრუნველყოფს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას საქართველოში მრავალფეროვან გარემოზე, უზრუნველყოფს ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას; მონაწილეობს მულტიკულტურული განათლების პროგრამების, მრავალფეროვნების სწავლების კურიკულუმების შექმნასა და დანერგვაში უმაღლეს სასწავლებლებში.

➢ წიგნიერება და ორენოვანი წიგნიერება - ამ მიმართულებით ორგანიზაცია ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეებში კითხვის უნარების განვითარებას დონეებად დაყოფილი საკითხავი ტექსტებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო/მეთოდოლოგიური რესურსების შექმნით.

➢ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება - ამ მიზნით ორგანიზაცია ახორციელებს პროგრამებს სახელმწიფო ენის სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების ბილინგვურ სკოლებში.

➢ მასწავლებელთა პროფესიული განვითარება-ამ მიმართულებით ორგანიზაცია ატარებს ტრენინგ-სემინარებსა და ვორქშოფებს ბილინგვური სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებში, უზრუნველყოფს ინტერკულტურული ურთიერთობების ხელშემწყობი პედაგოგიური მიდგომების განვითარებას.

➢ პუბლიკაციების გამოცემა -ორგანიზაცია გამოსცემს პოლიტიკის დოკუმენტებს/კვლევის ანგარიშებს, ბილინგვურ საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიურ რესურსებს, ენის სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, ჟურნალებს, ელექტრონულ პროდუქტებს და სხვ.

# პროექტები

ერთიანობა მრავალფეროვნებაშია 2

ახალი სკოლის მოდელის კვლევა 4

რუსულენოვანი განათლების განვითარების დინამიკა საქართველოში რუსულ-უკრაინული ომის კონტექსტში 6

# ერთიანობა მრავალფეროვნებაშია
# თსუ ახალგაზრდული ცენტრი

**2** ინტერკულტურული ღონისძიება

**219** ახალი წევრი

**1036** პროგრამით მოსარგებლე

- **398** ქართულენოვანი
- **538** არაქართულენოვანი



# ერთიანობა მრავალფეროვნებაში
## თსუ ახალგაზრდული ცენტრი

**12** ტრენინგი

**4** საჯარო ლექცია

**24** საინფორმაციო კამპანია



**4** სამუშაო შეხვედრა

# ახალი სკოლის მოდელის კვლევა

ანალიტიკური ბიულეტენი #2

**რა უნდა ვიცოდეთ მასწავლებლების შესახებ საქართველოს სკოლებში**

*ბიულეტენი მომზადებულია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ*

თებერვალი, 2023

**დირექტორობის კანდიდატები საქართველოს საჯარო სკოლებში, 2023**

*ბიულეტენი მომზადებულია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ*

ივლისი, 2023

ანალიტიკური ბიულეტენი #3

**ერთიანი ეროვნული გამოცდების სტატისტიკური ანალიზი**

ბიულეტენი მომზადებულია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ

სექტემბერი, 2023

ანალიტიკური ბიულეტენი #4

# ახალი სკოლის მოდელის კვლევა

ანალიტიკური ბიულეტენი #5


მასწავლებელთა სერტიფიცირება, პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა 2005-2023 წლებში

ნოემბერი, 2023

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

13
სატელევიზიო ინტერვიუ




400
გამოკითხული მასწავლებელი



15
სიღრმისეული ინტერვიუ




15
ფოკუსჯგუფი



# რუსულენოვანი განათლების განვითარების დინამიკა საქართველოში რუსულ-უკრაინული ომის კონტექსტში

## კვლევა

1. გამოვლინდა ის არაავტორიზებული სკოლები, რომლებიც 2022 წელს გაიხსნა და რუსულ და/ან უკრაინულ ენებზე ოპერირებენ;

2. გაანალიზდა რუსულენოვანი სკოლების ოპერირების მექანიზმები და ურთიერთმიმართებები საქართველოსა და სხვა ქვეყნების განათლების სისტემებთან;

3. გაანალიზდა არაავტორიზებულ და ავტორიზებულ სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა და სტატისტიკურ-დემოგრაფიული მონაცემები, მათი ოჯახების გეგმები და მიმართებები ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებასთან დაკავშირებით;

4. იდენტიფიცირდა რუსულ და უკრაინულენოვან სკოლებში მასწავლებლების კვალიფიკაციის საქართველოს განათლების სისტემის მოთხოვნებთან თავსებადობა;

5. განხორციელდა სკოლების სასწავლო გეგმების შედარებითი;

6. ჩამოყალიბდა სკოლების შემდგომი მართვის და ეფექტური ოპერირებისათვის საჭირო სტრატეგია;

## მასწავლებელთა გადამზადება

ტრენინგებში მონაწილეობა 50-მა მასწავლებელმა მიიღო, თბილისის რუსულსექტორიანი საჯარო სკოლებისა და თბილისისა და ბათუმის კერძო სკოლებიდან.

ტრენინგის თემატიკა:

- მრავალფეროვნების მართვა
- კონფლიქტების გადაჭრა
- მულტიკულტურალიზმი



# დონორები

www.cciir.ge
fb/cciir
info@cciir.ge